დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) **დავით სარაჯიშვილის** სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) ქიმიის საბაკალავრო პროგრამის ერთ სტუდენტს, ყოველწლიურად.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით და კონკურსის გზით გადაეცემა იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით ქიმიის შესწავლის სფეროში.

2. ერთი და იმავე პირს სტიპენდია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ.

3. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) სტიპენდიის მინიჭების წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის მინიჭების წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე).

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება:

ა) აკადემიური მოსწრებით (გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრებში სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტი-კულის გამოანგარიშებით (GPA არანაკლებ 3.5-ისა).

ბ) ქიმიის სფეროში სამეცნიერო ნაშრომით (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული სტატიასამეცნიერო ჟურნალში/საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასლებში).

3. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

4. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

5. სტიპენდია ინიშნება კომისიის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. სტიპენდია გაიცემა ყოველწლიურად სასწავლო წლის ბოლოს, 1000 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

7. სტიპენდია ინიშნება თამარ სარაჯიშვილის ინიციატივით და მისივე დაფინანსებით.

8. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა კონკრეტული სასწავლო წლის კონკურსის გამოცხადებამდე სრულად უნდა ჩაერიცხოს უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ჩარიცხვა.